

K. 86.966  
3

მ. ლეკიუზვილი



მთის რუხი ქართული  
ფეხკარი



638.1

მ. ლეიფვილი

მთის რუხი ქართული ზუგკარი

სერია  
V

K 86700  
3



თბილისი

1958

მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის მაღალშემოსავლიანი დარგია. ფუტკარი გვაძლევს ადამიანისათვის ძვირფას საკვებ და სამკურნალო პროდუქტს თაფლს და მრეწველობისათვის მეტად საჭირო და აუცილებელ ნედლეულს ცვილს (სანთელს).

მეფუტკრეობის განვითარების მნიშვნელობა სახალხო მეურნეობაში მარტო მეფუტკრეობიდან უშუალოდ მიღებული პროდუქტებით (თაფლი, ცვილი) არ განისაზღვრება. ფუტკარი დიდ როლს ასრულებს სოფლის მეურნეობის მთელი რიგი კულტურების მოსავლიანობის ზრდის საქმეში.

სოფლის მეურნეობის ისეთი კულტურები, როგორცაა ხეხილი, მზესუმზირა, ბოსტნეული მცენარეები, ციტრუსების უმრავლესობა, ტუნგო, საკვები ბალახები და სხვა, ნაყოფისა და თესლის უხვად მიღებისათვის აუცილებლად საჭიროებენ მწერების საშუალებით ჯვარედინ დამტვერიანებას. ასეთ კულტურებს ენტომოფილური კულტურები ეწოდება. ბუნებრივ პირობებში ამ კულტურების ჯვარედინი დამტვერიანება გარეული ფუტკრებისა და მწერების საშუალებით ხდება. ისინი ძირითადად ყამირ მიწებში ბინადრობენ. ყამირი მიწების გადახენით, ნიადაგების ხშირი დამუშავებით, სხვადასხვა აგროტექნიკური ღონისძიებების გატარებით საგრძნობლად შემცირდა მათი რაოდენობა, ამავდროს სულ უფრო იზრდება ენტომოფილური კულტურების ფართობები. გამოანგარიშებულია, რომ გარეული ფუტკრები და მწერები სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების ჯვარედინ დამტვერიანებას 15—20%-ითაც კი ძლივს უზრუნველყოფენ.

ჩატარებული ცდებით დამტკიცებულია, რომ ფუტკრის საშუალებით ჯვარედინი დამტვერიანების დროს, მოსავლიანობა საშუალოდ იზრდება: ხეხილისა—60%-ით, მზესუმზირასა—50%-ით, ტუნგოსა—65%-ით, ბოსტნეული კულტურებისა—200—300%-ით, საკვები ბალახების თესლისა—200—300%-ით და სხვ. სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურები ყვავილობის პერიოდისათვის უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ფუტკრის ოჯახების საჭირო რაოდენობით, რათა დამტვერიანებამ მეტი ეფექტი გამოიღოს. გამოანგარიშებულია, რომ ხეხილის, ტუნგოს, ლიმონის და ფორ-

თოხლის თითოეულ ჰექტარ ნარგავზე უნდა მოდიოდეს ფუტკრის ორი ოჯახი, მზესუმზირას ნათესზე — 1 ოჯახი, ბოსტნეულისა და სათესლედ დათესილი საკვები ბალახების ნათესებზე — ფუტკრის 2 — 3 ოჯახი და ა. შ.

გამოანგარიშებულია, აგრეთვე ისიც, რომ ფუტკრის საშუალებებით ენტომოფილური კულტურების დამტვერიანების შედეგად მიღებული მოსავლის ღირებულება 10—15-ჯერ აღემატება დამამტვერიანებელი საფუტკრეებიდან მიღებული თაფლის, ცვილისა და ნამატის ღირებულებას.

მეფუტკრეობა საქართველოში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია. მის განვითარებას ჩვენში უთუოდ ხელი შეუწყობტერიტორიის რელიეფის თავისებურებამ და თაფლოვან მცენარეთა სიუხვემ.

ჯერ კიდევ IV საუკუნეში ჩვენს წელთაღრიცხვამდე კოლხებთან ბრძოლაში ბიზანტიის მრავალრიცხოვანი მხედრების დამარცხების ერთ-ერთი მიზეზი ის იყო, რომ ბევრი თაფლი ჰამეს. ეს თაფლი მათობელა აღმოჩნდა, მხედრობა დათვრა და ბიზანტიელებმა ომი წააგეს. ამ ბრძოლის მონაწილის, საბერძნეთის ცნობილი მხედართმთავრისა და ისტორიკოსის ქსენოფონტეს გადმოცემით კოლხიდაში იმ დროს ძალიან ბევრი ფუტკარი ყოფილა, კოლხებს მათობელა თაფლი დიდი რაოდენობით ჰქონიათ დაგროვილი.

ძველად მეფუტკრეობის პროდუქტები (თაფლი, ცვილი) აკმაყოფილებდა საქართველოს არა მარტო ადგილობრივი ნატურალური მეურნეობის მოთხოვნილებას, არამედ აბრეშუმთან, მატყლთან, მარცვლოვან და სხვა პროდუქტებთან ერთად თაფლი და ცვილი წარმოადგენდა მეზობელ ქვეყნებთან სავაჭრო ურთიერთობის დამყარების მნიშვნელოვან საშუალებას.

ჩვენი ხალხის ცხოვრებაში ცვილს, თაფლისაგან დამზადებულ სასმელებს და ტბილეულს დიდი ადგილი ეკავა. ამავე დროს თაფლსა და ცვილს ფართო გამოყენება ჰქონდა სახალხო მედიცინაში.

ხშირმა ომებმა და თავდასხმებმა საქართველოს სახალხო მეურნეობის როგორც სხვა დარგები, ისე იმდროისათვის საკმაოდ განვითარებული მეფუტკრეობაც საგრძნობლად დასცა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვა დარგებთან ერთად მეფუტკრეობის განვითარებაც ჩქარი ტემპით წავიდა,

ამჟამად საქართველოს სს რესპუბლიკის მრავალ კოლმეურ-





ნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში მოწყობილია საფუტკრეები. განსაკუთრებით მსხვილი საფუტკრეები აქვს წითელწყაროს რაიონის სოფ. ქვემო ქედის კოლმეურნეობას (ფუტკრის 700 ოჯახი), ამავე რაიონის სოფ. ჯაფარიძის კოლმეურნეობას (435 ოჯახი), გაგრის რაიონის სოფ. ლესელიძის სასოფლო საბჭოს კინგისების სახელობის კოლმეურნეობას (800 ოჯახი), მახარაძის რაიონის სოფ. ვაკიჯვრის ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას (580 ოჯახი) და სხვ.

მოწინავე მეფუტკრეები ფუტკრის კარგი მოვლა-პატრონობისა და მთაბარობის შედეგად ფუტკრის თითოეულ ოჯახზე წლების მანძილზე 15—20 კგ, ხან კი გაცილებით მეტ სასაქონლო თაფლს ღებულობენ. ფუტკრის პროდუქტების რეალიზაციით მთელი რიგი კოლმეურნეობების შემოსავალი რამდენიმე ათეულ და ასეულ ათას მანეთს აღწევს, მაგრამ ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის ზოგიერთ საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის საფუტკრეში თაფლის და ცვილის გამოსავლიანობა ფუტკრის თითოეულ ოჯახზე ჯერჯერობით ძალიან დაბალია.

ამის მიზეზი ის არის, რომ ზოგი საკოლმეურნეო და საბჭოთა მეურნეობის საფუტკრე ჯერ კიდევ ძალიან პატარაა. ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა ამ საფუტკრეებში 10—15-ს არ აღემატება, ფუტკრის მოვლა მინდობილი აქვთ არაკვალიფიციურ პირებს და ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგად ასეთი საფუტკრეების შემოსავალი ძალიან მცირეა.

გარდა ამისა, საფუტკრეებში ჯერ კიდევ ნაკლებად იყენებენ მეცნიერების თანამედროვე მიღწევებს და მოწინავე მეფუტკრეთა პრაქტიკულ გამოცდილებას, როგორც არის: ფუტკრის ოჯახების უზრუნველყოფა საზამთრო-საგაზაფხულო პერიოდისათვის კარგი ხარისხის და საკმაო რაოდენობის თაფლით (საკვებით), ფუტკრის ოჯახების მზადება მთავარი ლალიანობისათვის, ადრე გაზაფხულზე ბუდეების შემცილება, დამატებით დათბუნება, ფუტკრის ოჯახების უკეთ განვითარებისათვის შაქრის ბადავით კვება, ლალიანობის დაწყების დროს ბუდეების თანდათანობით გაფართოება, ხანდაზმული და დაბალპროდუქტიული დედაფუტკრების დროულად შეცვლა, ფუტკრის მაღალპროდუქტიული ოჯახების გამოვლინება-გამრავლება, მათი დროულად გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილურ კულტურების დამტვერიანებისათვის და მთიან ზონებში განმეორებითი ლალიანობის ათვისებისათვის, პროფილაქტიკური და



სამკურნალო საშუალებების გამოყენება დაავადებების წინააღმდეგ და სხვ.

არასწორი მოვლა-პატრონობის შედეგად არის შემთხვევები, რომ ერთი და იმავე საკვები ბაზის პირობებში მყოფი საფუტკრეების პროდუქტიულობის მაჩვენებლები საგრძნობლად განსხვავდება ერთიმეორისაგან. მაგალითად, სიღნაღის რაიონის სოფ. ქვემო ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრეში 1955 წელს ფუტკრის თითოეულ ოჯახზე მიღებულია 13 კილოგრამი სასაქონლო თაფლი, მაშინ როდესაც იმავე სოფლის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრეში ფუტკრის თითოეულ ოჯახზე 4 კგ თაფლი მიიღეს. ლაგოდეხის რაიონის კალინინის სახელობის კოლმეურნეობის საფუტკრეში ფუტკრის თითოეულ ოჯახიდან მიიღეს 21 კგ სასაქონლო თაფლი, ხოლო იმავე პირობებში მყოფი „პრადის“ სახელობის კოლმეურნეობაში--მხოლოდ 6,5 კგ თაფლი. საფუტკრეების დაბალი შემოსავალი ცუდი მოვლა-პატრონობის შედეგია. ანალოგიური შემთხვევებია მთელ რიგ სხვა რაიონებშიც.

საქართველოს სს რესპუბლიკის ყველა სექტორში ფუტკრის ოჯახების რაოდენობა 250 ათას აღწევს. ფუტკრის ოჯახების ეს რაოდენობა ვერ ტვირთავს რესპუბლიკის თაფლოვან მცენარეთა სავარგულებს. რიგ რაიონებში კი ფუტკრის ნაკლებობის გამო სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურები ჯვარედინი დამტვერვით არ არის უზრუნველყოფილი, რაც საგრძნობლად ამცირებს ამ კულტურების მოსავლიანობას.

მეფუტკრეობის შემდგომი განვითარების მიზნით საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით მიღებულია მთელი რიგი ღონისძიებები, როგორცაა: საფუტკრე მეურნეობების მომარაგება საჭირო ინვენტარით და მასალებით, ფუტკრის მოვლა-მოშენებაში მოწინავე მაღალეფექტური მეთოდებისა და რჩევების გამოყენება, კადრების აღზრდა და სხვ. გათვალისწინებულია აგრეთვე საქართველოს სს რესპუბლიკის ტერიტორიაზე გავრცელებული მთის რუხი მაღალპროდუქტიული ფუტკრის პოპულაციების<sup>1</sup> დიდი მნიშვნელობა. ამ ფუტკარზე და ფუტკრის დედებზე დიდი მოთხოვნილებაა

<sup>1</sup> პოპულაცია—გარკვეულ პირობებს შეგუებული და ზოგიერთი განმასხვავებელი თვისების მქონე ფუტკარი.



როგორც სსრ კავშირის, აგრეთვე უცხო ქვეყნების მეფუტკრეობის მეურნეობათა მხრივ. ზემოაღნიშნული დადგენილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაევალა გააფართოოს მთის რუხი ფუტკრის ღებების გამომყვანი საჯიშეების ქსელი და ორგანიზებულად მოეწყოს ფუტკრის რეალიზაცია მეზობელ რესპუბლიკებში. გარდა ამისა, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სატყეო მეურნეობების მთავარ სამმართველოს დაევალა მთის რუხი ფუტკრის ძვირფასი პოპულაციების შენარჩუნების, გამრავლებისა და რაციონალურად გამოყენების მიზნით მოაწყოს 1958 წელს მთის რუხი ფუტკრის ნაკრძალები ჩხოროწყუს, წალენჯიხის, გეგეჭკორის რაიონების ტერიტორიაზე და აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში, აგრეთვე მოეწყოს ნაკრძალი საფუტკრე-ალკვეთილები მესტიის, ორჯონიკიძისა და ღუშეთის რაიონებში.

\* \* \*

აგტორთა უმრავლესობა იზიარებს იმ მოსაზრებას, რომ კავკასიაში (აგრეთვე საქართველოში) გავრცელებული ფუტკარი თავისი წარმოშობისა და განვითარების ისტორიით უფრო ადრეულ პერიოდს ეკუთვნის, ვიდრე სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში გავრცელებული ფუტკრები.<sup>1</sup>

მკვლევართა ყურადღებას დიდხანს იპყრობდა კავკასიაში გავრცელებული ფუტკარი და მისი თვისებები. მიუხედავად იმისა, რომ მეფუტკრეობა სოფლის მეურნეობის ერთ-ერთი უძველესი დარგია, ფუტკრის ძირითადი თვისებების შესწავლა შედარებით გვიან დაიწყო და ძირითადად დაკავშირებულია ჩარჩოიანი სკის გამოგონებასა და გავრცელებასთან.<sup>2</sup> ფუტკრის ჩარჩოიანი სკაში გადაყვანით ადამიანს საშუალება მიეცა დაკვირვება ეწარმოებინა ფუტკრის ძირი-

<sup>1</sup> არის მოსაზრება, რომ გაყინვარების პერიოდში ფუტკარი უნდა გადარჩენილიყო კავკასიაში და ევროპის სამხრეთ სანაპიროებზე. გაყინვარების პერიოდის გავლის შემდეგ ფუტკრის გავრცელება ჩრდილოეთისაკენ უნდა მომხდარიყო ევროპის სამხრეთი სანაპიროებიდან იქ წარმოშობილი ტყის ზონის საშუალებით. კავკასიას კი ჩრდილოეთთან უშუალოდ ტყის ზონა არ აკავშირებდა (ა. ს. სკარიკოვი, პ. მ. კომაროვი და სხვ.) და, მაშასადამე, აქედან ფუტკარს ჩრდილოეთისაკენ გავრცელება არ შეეძლო.

<sup>2</sup> ჩარჩოიანი სკა 1814 წელს გამოიგონა რუსმა მეფუტკრე-ექსპერიმენტატორმა პ. პროკოპოვიჩმა. ამ სკის სრულყოფასა და გავრცელებას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდა.



თად ბიოლოგიურ და მეურნეობრივად სასარგებლო ნიშანს მატებს. ბებზე, ხელი შეეწყობს ამ თვისებების გამოყენებისათვის, მოხდინა სხვადასხვა მხარეებსა და ქვეყნებში გავრცელებული ფუტკრების თვისებათა შედარებითი გამოცდა და შესწავლა.

გამოჩენილი ბუნებისმეტყველი ა. ბუტლეროვი, რომელიც კავკასიაში გავრცელებული ფუტკრის თვისებების შესწავლით იყო დაინტერესებული, ჯერ კიდევ 1877 წელს გააკვირვა მთის რუხი ფუტკრის თვინიერებამ და სხვა ფუტკრებთან შედარებით დაბალი ტემპერატურის დროს მუშაობის უნარიანობამ.

ა. ბუტლეროვის მოხსენებამ—„კავკასიური ფუტკარი და მეფუტკრეობა კავკასიაში“—დიდი ინტერესი გამოიწვია მკვლევართა შორის.

კავკასიური ფუტკრის შემდგომი მკვლევრების, ჯერ ნ. შავროვის და შემდეგ კ. გორბაჩოვის, მასალების მიხედვით, კავკასიაში გავრცელებულია მთის რუხი და ბარის ყვითელი ფუტკარი. მათი გამოკვლევით ბარის ფუტკარი სპარსული ყვითელი და მთის რუხი ფუტკრის მეტისებად იქნა ცნობილი.

შემდეგმა გამოკვლევებმა კი ცხადყო, რომ კავკასიის მთიან ზონებში გავრცელებული რუხი ფუტკარი როგორც შეფერილობით, ისე სხვა დამახასიათებელი თვისებებით ხალასად შემორჩენილია მხოლოდ საქართველოს მთიან რაიონებში, რასაც უდავოდ ხელი შეუწყობს ქართველი ხალხის მკვიდრმა ცხოვრებამ, საქართველოს მთიანი ზონების ტერიტორიის თავისებურებამ და თავლოვან მცენარეთა ნაირსახეობამ.

საქართველოს მთიან რაიონებში დღემდე ხალასად შემორჩენილი რუხი ფუტკარი, რომელიც მრავალი ათეული საუკუნის მანძილზე შეგუებულია მთის ცვალებად და მკაცრ კლიმატურ პირობებს, თავისი ზოგიერთი ბიოლოგიური და მეურნეობრივად სასარგებლო თვისებით განსხვავდება მსოფლიოში გავრცელებული სხვა ფუტკრებისაგან. მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა უკანასკნელი ათეული წლების მანძილზე მსოფლიო სახელი მოიხვეჭა.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი არის საქართველოს მკვიდრი ფუტკარი, რომელიც გავრცელებული უნდა ყოფილიყო როგორც მთიან ზონებში, აგრეთვე დაბლობშიც, რადგან საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკარი თავისი ძირითადი თვისებებით უფრო მთის რუხ ფუტკარს უახლოვდება. დროთა განმავლობაში საქართველოს დაბლობ რაიონ-






ნებში გავრცელებულ ფუტკარზე გავლენა მოუხდენია მეზობელ მხარეებში (რესპუბლიკებში) გავრცელებულ მოყვითალო ფუტკარის ამის შედეგია, რომ დაბლობი რაიონების ფუტკარს ახასიათებს მუცლის სეგმენტების ნაწილობრივი სიყვითლე, შედარებით მოკლე ხორთუმი და სხვ. მეზობელი მხარეებისა და ადგილობრივი ბარის უკვე შერეულ ფუტკარს მთის რუხ ფუტკარზე ეს გავლენა ვეღარ მოუხდენიათ, რადგან მთის ფუტკარი მათთვის მიუწვდომელი იყო.

მთის რუხი ქართული ფუტკარის ძირითადი თვისებების შესწავლა და მისი გავრცელება დაკავშირებულია იმ პერიოდთან, როდესაც ფუტკარი პირველად იყო გამოყენებული სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების (წითელი სამყურა) ჯვარედინი დამტვერიანებისა და მოსავლიანობის გადიდების საქმეში. XIX საუკუნის ბოლოს როგორც რუსეთში, ისე საზღვარგარეთ დიდ ფართობებზე დაიწყო წითელი სამყურას თესვა, მაგრამ წითელი სამყურას თესვის გამოსავლიანობა ძალიან მცირე იყო. წითელი სამყურა ენტომოფილური კულტურაა. ბუნებრივ პირობებში მწერები (კელები) ამტვერიანებენ, რომლებიც ბინადრობენ ყამირ მიწებში. ყამირი მიწების დამუშავებით შემცირდა მწერების (კელების) რაოდენობა, წითელი სამყურას ფართობები კი თანდათან გაიზარდა. ამ მდგომარეობის გამო საჭირო გახდა გრძელხორთუმიანი ფუტკარის<sup>1</sup> მონახვა, რადგან წითელი სამყურას ყვავილებს სანექტრეები ღრმად აქვთ მოთავსებული და ადგილობრივი ფუტკარი ხორთუმის სიმოკლის გამო ვერ ითვისებდა ნექტარს; ამიტომ ვერ უზრუნველყოფდა წითელ სამყურას ჯვარედინ დამტვერიანებას.

გრძელხორთუმიანი ფუტკარის მოსაძიებლად საჭირო იყო სხვადასხვა მხარის ფუტკარების ხორთუმის სიგრძის გამორკვევა. ფუტკარის ხორთუმის პირველი განაზომები მოგვცა 1898 წელს პროფესორმა გ. კოჭენიკოვმა.

ფუტკარის ხორთუმის გაზომვის ამ მეთოდით ისარგებლა კავკასიური ფუტკარის მკვლევარმა კ. გორბაჩოვმა. ქვემოთ მოგვყავს მის მიერ ჩატარებული სხვადასხვა მხარისა და კავკასიაში გავრცელებული ფუტკარების ხორთუმის საშუალო განაზომები:

<sup>1</sup> ხორთუმის საშუალებით ფუტკარი ითვისებს ნექტარს ყვავილების სანექტრეებიდან. ხორთუმის სიგრძეს დიდი მნიშვნელობა აქვს ღრმად მოთავსებული სანექტრეების მქონე ყვავილებიდან (წითელი სამყურა, იონჯა) ნექტარის ათვისებისათვის.





|  |          |
|--|----------|
| 1 მოსკოვის ყოფილი გუბერნიის ფუტკრისა                     | — 5,74 „ |
| 2 რიაზანის „ „ „   | — 5,81 „ |
| 3 სპარსული ფუტკრისა                                      | — 6,36 „ |
| 4 იტალიური „   | — 6,40 „ |
| 5 ელიზავეტოპოლის (კიროვობადი, ახერბაიჯანის სსრ) ფუტკრისა | — 6,47 „ |
| 6 ორდუბათის (ერევნის, სომხეთის სსრ) ფუტკრისა             | — 6,59 „ |
| 7 სვანეთის ფუტკრისა                                      | — 6,61 „ |
| 8 აფხაზეთის „  | — 6,66 „ |

გამოირკვა, რომ აფხაზეთსა და სვანეთში გავრცელებული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე გაცილებით აღემატება მოსკოვის, რიაზანის, სპარსეთის, იტალიის, კიროვობადის, ერევნის ფუტკრის ხორთუმის სიგრძეს.

1906 წელს ამერიკელმა მკვლევარმა ბენტონმა გრძელხორთუმიანი ფუტკრის აღმოსაჩენად შემოიარა მთელი რიგი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, და დარწმუნდა, რომ მთის რუხ ქართულ ფუტკარს ხორთუმის სიგრძის მიხედვით მსოფლიოში ბადალი არა ჰყავს. ბენტონმა შეიძინა საქართველოში (გაგრაში) რამდენიმე დედაფუტკარი და ამერიკაში წაიყვანა.

1908 წელს ცნობილმა აგრონომმა ო. კლინგენმა აფხაზეთიდან გადაიყვანა ფუტკრის '40 ოჯახი ორლოვის ყოფილ გუბერნიაში და ამ ფუტკრის საშუალებით ჩაატარა ცდა წითელი სამყურას დამტვერიანებაზე.

წითელი სამყურას იმ ფართობზე, სადაც ეს ფუტკარი იყო მოთავსებული, დესიატინაზე საშუალოდ 18 ფუთი თესლი მიიღო, ხოლო წითელი სამყურას იმ ფართობზე, რომელიც 8 კილომეტრით იყო დაშორებული და უფუტკროდ იყო, დესიატინაზე საშუალოდ 5 ფუთი თესლი მიიღო. ოთხი წლის დაკვირვების შემდეგ მკვლევარი დარწმუნდა, რომ წითელი სამყურას ჯვარედინ დამტვერვაში მთის რუხ ქართულ ფუტკარს დიდი უპირატესობა აქვთ ადგილობრივ ფუტკართან შედარებით.

ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ უფრო გაითქვა სახელი მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა. გაიზარდა რუსეთის და საზღვარგარეთელ მეფუტკრეთა მოთხოვნილება ამ ფუტკრის დედებზე.

ქავკასიაში გავრცელებული ფუტკრების წესწავლისა და გრძელხორთუმიანი მთის რუხი ფუტკრის გავრცელების საზღვრების გამოსარკვევად 1928 წელს საკავშირო საცდელი აგრონომიული სახელმწიფო ინსტიტუტის მიერ ორგანიზებულ იქნა ექსპედიცია პროფ. ა. სკორიკოვის ხელმძღვანელობით.



ექსპედიციის მონაწილეებმა დიდი სამუშაო ჩაატარეს. მათ შემოიარეს და შეამოწმეს მთავარი კავკასიონის ჩრდილოეთ და სამხრეთ კალთებზე გავრცელებული ფუტკრები. საფუტკრეების შემოწმების დროს იღებდნენ ფუტკრის ნიმუშებს ხორთუმის სიგრძის გამოსარკვევად.

ექსპედიციის მონაწილეებმა საქართველოს ტერიტორიაზე შეამოწმეს აფხაზეთის, სამეგრელოს, სვანეთისა და იმერეთის მთიან და დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკრები. ამ შემოწმების შედეგად გამოიჩინა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი, როგორც გარეგანი შეფერილობით, ისე სხვა თვისებებით განსხვავდება ჩრდილოეთ კავკასიისა და საქართველოს მეზობელ სხვა რესპუბლიკებში გავრცელებული ფუტკრებისაგან. ამავ დროს მთის რუხი ქართული ფუტკრის ძირითადი ადგილსამყოფელი განისაზღვრება მთავარი კავკასიონის სამხრეთი კალთებით.

მოპოვებული მასალების დამუშავების შედეგად გამოიჩინა, რომ ყველაზე გრძელხორთუმიანი მთის რუხი ფუტკარი გავრცელებულია ჩხოროწყუს რაიონში მდინარე ხობის წყლის ხეობაში (სამეგრელო), სადაც ზოგიერთი ფუტკრის ხორთუმის სიგრძე 7,23 მმ აღწევს. ხობის წყლის ხეობიდან კი როგორც აფხაზეთის, ისე იმერეთის მიმართულებით გავრცელებული ფუტკრის ხორთუმის სიგრძე შედარებით კლებულობს.

ქვემოთ მოგვყავს ხორთუმის საშუალო სიგრძის მაჩვენებლები ექსპედიციის მასალების მიხედვით:

|                     |           |
|---------------------|-----------|
| 1. აფხაზური ფუტკრის | — 7,01 მმ |
| 2. მეგრული „        | — 7,10 მმ |
| 3. სვანური „        | — 6,89 მმ |
| 4. იმერული „        | — 6,84 მმ |

იმ პერიოდში იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ფუტკრის ხორთუმის სიგრძეს წითელი სამყურას თესლის გამოსავლიანობის გადიდებისათვის, რომ პროფ. ა. სკორიკოვი თავის გამოკვლევებში წერს: „მთის რუხი ქართული ფუტკრის აფხაზურ, მეგრულ და იმერულ პოპულაციებს თითოეული მილიმეტრი ხორთუმის სიგრძისათვის მზად ვართ ცალკე ჯიში ვუწოდოთ“.

მთის რუხი ქართული ფუტკრის გავრცელება ხდებოდა კავკასიური ფუტკრის სახელწოდებით, რის გამოც საზღვარგარეთის ლიტერატურაში დღემდე შემორჩა ეს სახელწოდება. ამის მიზეზი ის იყო, რომ საქართველო იმ დროს ადმინისტრაციულად კავკა-



სიაში შედიოდა, აგრეთვე არ იყო დაზუსტებული მთის რუხი ფუტკარის ხალასად გავრცელების ადგილები.

ექსპედიციის გამოკვლევები საფუძვლად დაედო მთის რუხი ქართული ფუტკარის ცალკე პრიმიტიულ ჯიშად გამოყოფას კავკასიაში გავრცელებული ფუტკარებისაგან. მთის რუხი ქართული ფუტკარი, ისე როგორც სომხური, სპარსული, ჩრდილოეთ კავკასიის (ყუბანის), შუა რუსეთის, უკრაინის, იტალიური (გავრცელებულია ევროპის ქვეყნებში და ამერიკაში) და სხვ., პრიმიტიულ ჯიშებად ითვლებიან, რადგან ადამიანს მათი ნიშან-თვისების ჩამოყალიბებაში თავისი ზეგავლენა არ მოუხდენია. ყველა ეს ფუტკარი ათეული საუკუნეების მანძილზე შეგუებულია თავისი ადგილსამყოფელის ეკოლოგიურ პირობებს, რის შედეგადაც გამოუმუშავებიათ ერთმანეთისაგან განსხვავებული ნიშან-თვისებები: გარეგანი შეფერილობა (რუხი, შავი, ყვითელი), ხორთუმის ზომა, თვინიერება, სიავე, ქარბი ნაყრიანობა, მცირე ნაყრიანობა, სადედეების კეთების რაოდენობა, ამა თუ იმ კლიმატური პირობების ამტანიანობა, საკვები მარაგის განლაგება, პროდუქტიულობა და სხვა. ადამიანებმა შეისწავლეს ეს ნიშან-თვისებები და ხელი შეუწყო მისთვის სასარგებლო თვისებების უკეთ გამომყვანებას.

მთის რუხი ქართული ფუტკარის უპირატესობა იმაში გამოიხატება, რომ იგი ერთსა და იმავე პირობებში პროდუქტიულობის უკეთეს მაჩვენებლებს იძლევა, ვიდრე სხვა ჯიშის ფუტკარები. მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა დიდი გავრცელება პოვა სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში. გარდა იმისა, რომ ამ ფუტკარს იყენებდნენ სამყურას დამტვერიანებისათვის, ამავე დროს აწარმოებდნენ დაკვირვებას მისი თაფლის პროდუქტიულობაზე. გამოიჩინა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი ადგილობრივ ფუტკარებთან შედარებით ამჟღავნებს თაფლის მაღალ პროდუქტიულობას, მიუხედავად იმისა, რომ უკრაინის, შუა რუსეთის ოლქებისა და ჩრდილოეთ კავკასიის პირობები მისთვის ჩვეული არ იყო. თუ ჩვენ ამ მონაცემებს დავაჯამებთ, მთის რუხი ქართული ფუტკარის თაფლის პროდუქტიულობა საშუალოდ 40-50%-ით აღემატება ადგილობრივი ფუტკარების თაფლის საშუალო პროდუქტიულობას.

საქართველოდან გაყვანილი ფუტკარი კარგად შეეგუა საფრანგეთის, ინგლისის, ეგვიპტის, იაპონიის, ფინეთის, ავსტრალიისა და ამერიკის პირობებს.





სანამ გამოირკვეოდა მთის რუხი ქართული ფუტკრის მეურნეობრივად სასარგებლო ნიშან-თვისებები, მსოფლიოში გავრცელებულ ფუტკრებს შორის ყველაზე თვინიერ და მაღალპროდუქტიულ ფუტკრად ითვლებოდა იტალიური ფუტკარი, რომელიც გავრცელებულია ევროპის ქვეყნებსა და ამერიკაშიც (ამერიკაში ადგილობრივი ფუტკარი არ იყო. ევროპელებმა პირველად შეიყვანეს იქ იტალიური ფუტკარი).

იტალიურ ფუტკარს უწოდებენ სამხრეთის ფუტკარს. იგი ევროპასა და ამერიკაშიც საკმაოდ კარგ პროდუქტიულობას იჩენს, ამავდროს ძალიან ცუდად ეგუება ჩრდილოეთის პირობებს. ამერიკის შვერთებულ შტატებში, ვაიომინგის შტატში, ლამარის სასოფლო-სამეურნეო საცდელ სადგურში 5 წლის მანძილზე (1926—1931 წწ.). აწარმოებდნენ მთის რუხი ქართული ფუტკრის (კავკასიურად წოდებული) და იტალიური ფუტკრის შედარებით გამოცდას თავლის პროდუქტიულობის მხრივ, ეს მასალები მოგვყავს № 1 ცხრილში.

ც ხ რ ი ლ ი 1

იტალიური და მთის რუხი ქართული ფუტკრის თავლის საშუალო პროდუქტიულობა წლების მიხედვით (კილოგრამებით)

|                                     | 1926 | 1927  | 1928 | 1930 | 1931 |
|-------------------------------------|------|-------|------|------|------|
| იტალიური ფუტკარი . . . . .          | 10,2 | 0,68  | 21,9 | 85   | 18,8 |
| მთის რუხი ქართული ფუტკარი . . . . . | 78,8 | 20,1  | 42,0 | 145  | 36,9 |
| სხვაობა . . . . .                   | 68,6 | 19,42 | 20,1 | 60,0 | 17,9 |

ამგვარად, მთის რუხი ქართული ფუტკარი ჩატარებული ცდის მანძილზე ყოველწლიურად გაცილებით მეტ თავლს აგროვებდა, ვიდრე იტალიური ფუტკარი. ხუთი წლის მონაცემების მიხედვით მთის რუხი ქართული ფუტკარი საშუალოდ 36 კგ თავლით სჭარბობდა იტალიურ ფუტკარს. მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა პროდუქტიულობის მხრივ განსაკუთრებული უპირატესობა გამოიჩინა 1927 წელს, როდესაც ვაიომინგის შტატში გვალვიანი წელი იყო; იტალიურმა ფუტკარმა მაშინ თითქმის სრულებით ვერ დააგროვა თავლი, მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა კი 20,1 კგ თავლი შეაგროვა. ანალოგიური ცდა ჩატარდა კანადაში ონტარიოს შტატში 1930 — 1935 წლებში. ამ ცდის დროს ოთხი წლის

განმავლობაში იტალიური ფუტკარი სქარბობდა თაფლის პროდუქტიულობით მთის რუხ ქართულ ფუტკარს. მე-5 წელს კი, დესაც ონტარიოს შტატში წინა წლებთან შედარებით ნაკლები რაოდენობის ნალექები იყო, მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა გამოიჩინა უპირატესობა. უნდა აღინიშნოს, რომ ვაიომინგის შტატი, სადაც მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა იტალიურ ფუტკარს აჯობა თაფლის პროდუქტიულობით, ონტარის შტატთან შედარებით საერთოდ ნაკლები რაოდენობის ნალექებით ხასიათდება.

ჩატარებული ცდების შედეგად გამოირკვა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი ამერიკის შეერთებულ შტატებშიც და კანადაშიც ძირითადად გამოყენებულ უნდა იქნეს როგორც მაღალპროდუქტიული ფუტკარი მხოლოდ იმ შტატებში, სადაც წლიური ნალექების რაოდენობა 1500 მმ-ს არ აღემატება. ამ მასალების გამოქვეყნების შემდეგ მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა ამერიკაში უფრო დიდი გავრცელება პოვა. 1946 წლის მონაცემების მიხედვით ამერიკის შეერთებული შტატებში მეფუტკრეების 40% უკვე მთის რუხი ქართული ფუტკრის მოშენებას მისდევს. ამავე დროს მთელ რიგ საფუტკრე მეურნეობებს გამოჰყავთ დედა-ფუტკრები და მათ როგორც ამერიკაში, ისე ევროპის ქვეყნებში ავრცელებენ კავკასიური ფუტკრის სახელწოდებით.

1948 — 1950 წლებში რსფსრ მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითმა ინსტიტუტმა სსრ კავშირის სხვადასხვა ოლქებსა და რესპუბლიკაში ჩაატარა მთის რუხი ქართული ფუტკრის შედარებითი გამოცდა ადგილობრივ ფუტკრებთან გამოსაყენებელი ნიშან-თვისების დასაზუსტებლად. ამავე დროს თვით ინსტიტუტის ექსპერიმენტულ საფუტკრეში წარმოებდა მთის რუხი ქართული ფუტკრის თვისებების შედარებითი გამოცდა შუა რუსეთისა და იტალიურ ფუტკართან. ჩატარებული დაკვირვებების შედეგად გამოირკვა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი განსაკუთრებით თვინიერია. მაგალითად, მთის რუხი ქართული ფუტკრის ოჯახების ხილვის (გასიჯვის) დროს თუნდაც უღალო პერიოდში ფუტკარი იშვიათად ინესტრება, და თუ ბუნებაში მცირე ლალიანობა მაინც არის, ფუტკრის ოჯახების ხილვა შესაძლებელია უკვამლოდ და უპირბადოდ. ფუტკრის ოჯახების ხილვის დროს ფუტკარი არ იქსაქსება და ხშირად ამოღებული ფიჭიდან პირდაპირ ლალაზე მიდის. ასეთი თვინიერება არ ახასიათებს არც შუა რუსეთისა და არც მანამდე ყველაზე თვინიერ ფუტკრად ცნობილ იტალიურ ფუტკარს. [ფუტკრის თვინიერებას

უშუალო კავშირი არა აქვს ფუტკრის პროდუქტიულობასთან. სა-  
მაგიეროდ დიდი მნიშვნელობა აქვს სელექციური მუშაობის დროს  
და საგრძნობლად ზრდის შრომის ნაყოფიერებას საფუტკრეში.

მთის რუხი ქართული ფუტკარი სიცივის ამტანი გამოდგა,  
ვიდრე სიცივეს შეგუებული შუა რუსეთის ფუტკარი, რადგან მთის  
რუხი ქართული ფუტკარი სამუშაოდ და კუჭის გასაწმენდად (გა-  
ზაფხულზე და შემოდგომით) გამოდის შედარებით უფრო დიდი  
ტემპერატურის დროს და ლალიანობის პირობებში მუშაობას განაგრ-  
ძობს მცირეწვიმიან და ღრუბლიან ამინდშიც. მთის რუხი ქართუ-  
ლი ფუტკარი საფუტკრიდან მოცილებით საკვებურით მოცემულ  
შაქრის ბადაგს უფრო მალე პოულობს და საკვებურიდან საკვებს  
ორჯერ უფრო სწრაფად ითვისებს, ვიდრე შუა რუსეთისა და იტა-  
ლიური ფუტკრები, რაც მოწმობს მის საკვების ძებნის დიდ უნარი-  
ანობას. მთის რუხი ქართული ფუტკარი ნაკლებად იჩენს მიდრეკი-  
ლებას ნაყრიანობისადმი. დაკვირვების პერიოდში მთის რუხი ქარ-  
თული ფუტკრის არც ერთ ოჯახს არ უყრია, მაშინ როდესაც შუა  
რუსეთსა და იტალიური ფუტკრის ოჯახების 40<sup>0</sup>/<sub>0</sub>-მა ნაყარი გა-  
მოუშვა. ნაყრიანობისადმი განწყობის შემთხვევებში მთის რუხი  
ქართული ფუტკარი იტალიურ და შუა რუსეთის ფუტკართან შედა-  
რების ნაკლები რაოდენობის სადედეებს აკეთებს და ნაყრიანებისადმი  
საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარებით (სადედეების ამოჭრა,  
ბუდეების გაფართოება და სხვ.) მალე უბრუნდება სამუშაო მდგო-  
მარეობას.

მთის რუხი ქართული ფუტკარი ღალიანობის დაწყებიდანვე  
ნექტარს პირველ რიგში ბუდეში აგროვებს, რითაც პირველი ღა-  
ლიანობიდანვე უზრუნველყოფს ბუდეში თაფლის მარაგს. ბუდეში  
თაფლის დაგროვება უზღუდავს დედაფუტკარს ქარბი კვერცხმდებ-  
ლობის საშუალებას, რის შედეგადაც ღალიანობის პერიოდში მუ-  
შა ფუტკარი ნაკლებად იტვირთება ბარტყის აღზრდით და მისი  
ძალა მიმართულია თაფლის დაგროვებისაკენ. შუა რუსეთისა და  
იტალიური ფუტკრები მთავარი ღალიანობის დაწყებიდანვე ნექტარს  
საკუჭნაოში აგროვებენ, ბუდეში კი მაქსიმალურად ავითარებენ  
კვერცხმდებლობას, რის გამოც მუშა ფუტკრები ძირითადად ბარ-  
ტყის აღზრდას ეწევიან, რაზედაც ბევრ საკვებს ხარჯავენ და საბო-  
ლოოდ გაცილებით ნაკლებ თაფლს აგროვებენ, ვიდრე მთის რუხი  
ქართული ფუტკრები.

ქვემოთ მოგვყავს მთის რუხი ქართული ფუტკრის და სსრ კავ-  
შირის სხვადასხვა ოლქების ადგილობრივი ფუტკრის თაფლის სა-

შუალო პროდუქტიულობა (რსფსრ მეფუტკრეობის ინსტიტუტის 1949 წლის მასალების მიხედვით, კილოგრამებში).



|  | მთის რუხი ქართული ფუტკარი | ადგილობრივი ფუტკარი | სხვაობა |
|--|---------------------------|---------------------|---------|
| 1 ბაჭყალიანის მეფუტკრეობის საცდელი სადგური . . . . . | 44                        | 27                  |         |
| 2 ხარკოვის მეფუტკრეობის საცდელი სადგური . . . . .    | 80,4                      | 49,8                |         |
| 3 თრლოვის მეფუტკრეობის საცდელი სადგური . . . . .     | 12,0                      | 4,5                 |         |
| 4 კიროვის მეფუტკრეობის საცდელი პუნქტი . . . . .      | 27,6                      | 18                  |         |
| 5 ტამბოვის ოლქში . . . . .                           | 85                        | 60                  |         |
| 6 ჩკალოვის " . . . . .                               | 46                        | 35                  |         |
| 7 კურსკის " . . . . .                                | 40                        | 28                  |         |
| 8 კალინინის " . . . . .                              | 20                        | 7                   |         |
| 9 პერმის ოლქში . . . . .                             | 26                        | 24                  |         |
| 10 სტალინგრადის " . . . . .                          | 20                        | 8,5                 |         |
| 11 ნოვოზიბირსკის " . . . . .                         | 48                        | 40                  |         |
| 12 მორდოვეთის ასსრ-ში . . . . .                      | 46                        | 25                  |         |
| საშუალოდ . . . . .                                   | 41,3                      | 27,2                | 14,1    |

მიუხედავად იმისა, რომ რიგ ოლქებში 1949 წელს მეფუტკრეობის სეზონი ლალიანობისათვის მეტად არახელსაყრელი იყო, მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა მაინც საშუალოდ 51%-ით მეტი თაფლი შეაგროვა, ვიდრე ადგილობრივმა ფუტკარმა.

ამავე დროს ამ ოლქებში და თვით მეფუტკრეობის ინსტიტუტის ექსპერიმენტულ საფუტკრეში წარმოებული დაკვირვებებით გამოირკვა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკარი მთელ რიგ დადებით ნიშან-თვისებებსა და მაღალპროდუქტიულობასთან ერთად შუა რუსეთისა და ჩრდილოეთ ოლქების პირობებში იჩენს ერთ უარყოფით თვისებას; სახელდობრ, ის შეგუებულია თავისი ძირითადი ადგილსამყოფელის (საქართველოს სსრ) კლიმატურ პირობებში გარეთ ზამთრობას, რაც საშუალებას აძლევს ფუტკარს გვიან შემოდგომით და ზოგჯერ ზამთრის თბილ ამინდშიც გამოვიდეს გარეთ და კუჭი გაიწმინდოს; შუა რუსეთისა და ჩრდილოეთ ოლქების ხანგრძლივი ზამთრის პირობებში კი ფუტკარს უხდება რ თავის განმავლობაში საზამთრში (ბინაში) ყოფნა, რის შედეგადაც მთის რუხი ქართუ-





ლი ფუტკარი უმეტეს შემთხვევებში ავადდება ნოზემატოზით<sup>1</sup> ზამთრის პერიოდში ფუტკრის ოჯახები ძალიან სუსტდება.

ამგვარად, გამოირკვა, რომ მთის რუხი ქართული ფუტკრის ხალასად მოშენება-გამრავლება შესაძლებელია მხოლოდ სსრ კავშირის სამხრეთ ოლქებისა და ჩრდილოეთ კავკასიის პირობებში. სსრ კავშირის ჩრდილოეთ ოლქებში და რესპუბლიკებში კი მთის რუხი ქართული ფუტკრის ხალასად მოშენება-გამრავლებას ძლიერ ზღუდავს კლიმატური პირობები. შუა რუსეთისა და ჩრდილოეთ ოლქებში გავრცელებული ფუტკრის პროდუქტიულობისა და სხვა თვისებების გაუმჯობესებისათვის გამოყენებული უნდა იყოს მთის რუხი ქართული ფუტკრის მეურნეობრივად სასარგებლო ნიშან-თვისებები მათი შეჯვარების გზით.

რსფსრ-ის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული ცდებით გამოირკვა, რომ თუ მთის რუხი ქართული ფუტკრის დედებს გამოვიყვანთ შუა რუსეთის პირობებში და შევწყვილებით იქაურ მამალ ფუტკრებთან, ამ გზით მიღებული პირველი თაობის ფუტკრის ოჯახები ძირითადად ინარჩუნებენ მთის რუხი ფუტკრის თვისებებს და მათი თაფლის პროდუქტიულობა საშუალოდ 41%-ით აღემატება ადგილობრივი ფუტკრის თაფლის საშუალო პროდუქტიულობას. ამავდროს ასეთი ნაჯვარი ფუტკრის ოჯახები კარგად მოწყობილ საზამთრის (ბინის) პირობებში ისევე ზამთრობენ, როგორც ადგილობრივი, შუა რუსეთის ფუტკრები.

აღნიშნული მეთოდი რსფსრ-ის მეფუტკრეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მიერ უკვე რეკომენდებულია შუა რუსეთის, უკრაინისა და ჩრდილოეთ ოლქების ადგილობრივი ფუტკრის პროდუქტიულობისა და თვისებების გასაუმჯობესებლად.

უნდა აღინიშნოს, რომ მთის რუხი ქართული ფუტკრისათვის ეს ახალი ადგილსამყოფელი უკეთესი აღმოჩნდა მისი პროდუქტიულობისათვის. ისეთი მაღალი პროდუქტიულობა, როგორც მან ამერიკის შეერთებულ შტატებსა და სსრ კავშირის ზოგიერთ ოლქში გამოიჩინა, არ არის აღნიშნული მის ძირითად ადგილსამყოფელ პირობებში (საქართველოს სსრ-ში). მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს სსრ რესპუბლიკის რიგი რაიონები თაფლოვან მცენარეთა

<sup>1</sup> ნოზემატოზი არის მოზრდილი ფუტკრის გადამდები დაავადება. მას იწვევს პარაზიტი ნოზემა-აპის, რომლის სპორების გამრავლებას ხელს უწყობს ცუდი ხარისხის საკვები (მანანი, წაბლის თაფლი) ზამთრის ხანგრძლივ და მძიმე პირობებში.

K26.966 3

საკმაო სიუხვით ხასიათდება, ამ რაიონებში მომუშავე მოწინავე მეფუტკრეები ფუტკრის მოვლა-პატრონობის თანამედროვე მეტოდების და მთაბარობის გამოყენებით ვერ აღწევენ პროდუქტიულობის ასეთ მაჩვენებლებს.

ამის მიზეზი ძირითადად იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოს კლიმატური პირობები ძალიან ცვალებადია, ლალიანობის პერიოდებში ხშირად ხანგრძლივი გვალვაა, ზოგჯერ, პერიოდულად, ზედმეტი ნალექები, ხშირი ქარები, მთიან რაიონებში ღამით დაბალი ტემპერატურა და სხვა, რაც, ერთი მხრივ, საგრძნობლად ამცირებს თაფლოვან მცენარეებში ნექტრის გამოყოფას და, მეორე მხრივ, ხშირად ხელს უშლის ფუტკარს მაქსიმალურად აითვისოს გამოყოფილი ნექტარი. უნდა ვიგულისხმოთ, რომ სწორედ ასეთმა კლიმატურმა პირობებმა და თაფლოვან მცენარეთა ნაირსახეობამ გამოუშუშავე მთის რუხ ქართულ ფუტკარს საკვების ძებნისა და ერთი სახის თაფლოსანი მცენარის დაყვავილების შემდეგ მეორეზე სწრაფად გადასაცვლების უნარი. ამის შედეგია, რომ თუ იგი შედარებით მყარ კლიმატურ პირობებში მოხვდა, სხვა ფუტკრებზე მეტ თაფლს აგროვებს.

ამავე დროს აღსანიშნავია ისიც, რომ მსოფლიოში დღეს გავრცელებული სხვადასხვა ჯიშის ფუტკრები მთის რუხ ქართულ ფუტკართან შედარებით ჩვენს პირობებში (საქართველოს სსრ) უკეთეს პროდუქტიულობას ვერ გამოიჩენს. ამას ადასტურებს მთის რუხი ქართული ფუტკრის შედარებითი გამოცდა სსრ კავშირის სხვადასხვა ოლქებსა და ამერიკის ვაიომინგის შტატში, სადაც მთის რუხმა ქართულმა ფუტკარმა 1927 წელს 20,1 კგ თაფლი შეაგროვა, მაშინ როდესაც ხანგრძლივი გვალვის გამო იტალიური ჯიშის ფუტკარი სრულიად უსაკვებოდ დარჩა.

მთის რუხ ქართულ ფუტკარზე ჩატარებული ცდები და დაკვირვებები როგორც საქართველოში, ისე სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და აგრეთვე საზღვარგარეთაც ძირითადად მიეკუთვნება აფხაზეთის ასსრ-ის და სამეგრელოს მთიან რაიონებში გავრცელებულ ფუტკარს, რადგან მთის რუხი ქართული ფუტკრის სახით გამოვლინებული იყო ჯერ აფხაზეთის ასსრ-ში გავრცელებული ფუტკარი და შემდეგ უფრო გრძელხორთუმიანი ფუტკარი ჩხოროწყუს რაიონში (სამეგრელო). აფხაზეთის ასსრ-ში და ჩხოროწყუს რაიონში ჩამოყალიბებული იყო ქართული ფუტკრის დედების გამომყვანი სახელმწიფო საჯიშეები. ამ საჯიშეებიდან იგზავნება დედაფუტკრები

და აგრეთვე ფუტკრის ოჯახებიც როგორც სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში, აგრეთვე საზღვარგარეთაც. ეს მდგომარეობა გამოწვეულია იმით, რომ აქამდე განსაკუთრებულ მნიშვნელობას აძლევენ ფუტკრის ხორთუმის სიგრძეს წითელი სამყურას თესლის მოსავლიანობის გადიდებისათვის.

რაც შეეხება საქართველოს სს რესპუბლიკის სხვა მთიან რაიონებში გავრცელებულ რუხ ფუტკარს, როგორც არის სვანური, იმერულ-რაჭული, ქართლური, კახური და სხვა, ამ ფუტკრების ხორთუმის სიგრძე მეტ-ნაკლებად მცირეა აფხაზური და მეგრული ფუტკრის ხორთუმთან შედარებით, მაგრამ საერთოდ აღმატება მსოფლიოში გავრცელებული ფუტკრის სხვა ჯიშების ხორთუმის სიგრძეს. ეს ფუტკრები ისევე შეგუებული არიან თავიანთ ადგილსამყოფელ პირობებს, როგორც აფხაზური და მეგრული ფუტკარი და გამომუშაებული აქვთ მეურნეობრივად სასარგებლო თვისებები, რაც დღემდე სათანადოდ შესწავლილი არ არის, მით უმეტეს, რომ წითელი სამყურას და სხვა სამყურების დამტვერიანების საკითხი უკვე დაძლეულია შედარებით მოკლებხორთუმიანი ფუტკრების საშუალებითაც, კერძოდ, ფუტკრის დაგეშვით<sup>1</sup>, რომელიც დაამუშავა პროფ. გუბინმა.

მიუხედავად იმისა, რომ მოკლებხორთუმიანი ფუტკრის დაგეშვის საშუალებით შესაძლებელი გახდა წითელი სამყურას დამტვერიანება, მთის რუხ ქართულ ფუტკარს მასთან შედარებით მაინც დიდი უპირატესობა აქვს, ვინაიდან ის ამ კულტურაზე დაგეშვას არ საპიროებს.

საქართველოს სსრ მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეფუტკრეობის განყოფილება ნ წლის მანძილზე (1951 — 1956 წწ.) აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში აწარმოებდა აფხაზეთის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის, იმერეთ-რაქისა და ქართლის მთიან რაიონებში გავრცელებული რუხი ფუტკრისა და კახეთის დაბლობის ფუტკრის შედარებით გამოცდას.

<sup>1</sup> დაგეშვა შემდეგში მდგომარეობს: დასამტვერიანებელ ფართობზე მიყვანილ ფუტკრის ოჯახებს წინასწარ კვებავენ დასამტვერიანებელი კულტურის ყვავილების შაქრის სიროფის ნაყენით. ფუტკარი, გაღიზიანებული ამ კულტურის ყვავილების სურნელებით, ნექტარის ათვისებისათვის მოინახულებს ამ კულტურის ყვავილებს რის შედეგადაც ახდენს ჯვარედინ დამტვერვას. პროფ. ა. გუბინის ფუტკრის დაგეშვის მეთოდი უკვე ფართოდ არის გამოყენებული სხვადასხვა მხარეებში და საზღვარგარეთაც.



ამ ფუტკრების ადგილსამყოფლების მიხედვით მთიან რაიონებში შეიძლება საფუტკრეები, რომლებიც დაცული იყო სხვა ჯიშის აგრეთვე დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკრის გავლენისაგან.

შერჩეული იყო: აფხაზური ფუტკრისათვის — გუდაუთის რაიონის სოფ. ხაბიოს კოლმეურნეობა „ცისკრის“ საფუტკრე, მეგრული ფუტკრისათვის — ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურის ქართული ფუტკრის სახელმწიფო საჯიშე და ამავე სოფლის საკოლმეურნეო საფუტკრე, იმერულ-რაჭული ფუტკრისათვის — ონის რაიონის სოფ. საკაოს საფუტკრე, ზემო სვანეთის ფუტკრისათვის — მესტიის რაიონის სოფ. იფარის საფუტკრე, ქართლური ფუტკრისათვის — დუშეთის რაიონის სოფ. ხორხის კიროვის სახელობის და სოფ. არანისის საკოლმეურნეო საფუტკრეები, კახური ფუტკრისათვის — სოფ. ლაფანაყურის საკოლმეურნეო საფუტკრე.

ამ საფუტკრეებში გამოყვანილი დედაფუტკრები განაყოფიერების შემდეგ იგზავნებოდნენ თბილისში, ინსტიტუტის ექსპერიმენტულ საფუტკრეში, სადაც ყალიბდებოდა საცდელი ოჯახები.

საცდელი ფუტკრის ოჯახები ზამთრობდნენ თბილისის პირობებში — ინსტიტუტის საექსპერიმენტო ბაზის ტერიტორიაზე (დელისში). ხეხილის დაყვავილების შემდეგ საცდელი ფუტკრის პირველი მთაბარობა ტარდებოდა აკაციის ყვავილობაზე ქ. რუსთავის მიდამოებში, მეორე მთაბარობა კი — დმანისის რაიონში.

საცდელ ჯგუფზე დაკვირვება წარმოებდა თაფლის და ცვილის პროდუქტიულობაზე, დედაფუტკრების საშუალო დღეღამის კვრცხმდებლობაზე, ნაყრიანობისადმი მიდრეკილებაზე, დედაფუტკრის ცვლაზე, ხორთუმის სიგრძეზე, საცვილე ჯირკვლების ზომებზე, ფრთების სიგრძე-სიგანეზე, თვინიერებაზე და სხვ.

ექვსი წლის დაკვირვებამ ცხადყო, რომ ზემო სვანეთის, იმერეთ-რაჭის და ქართლის მთიან რაიონებში გავრცელებული ფუტკარი ძირითადი ნიშან-თვისებებით, როგორცაა რუხი შეფერადება, თვინიერება მცირე ნაყრიანობა, ნაყრობის დროს სადღეღამის კეთების რაოდენობა, დედაფუტკრის ცვლა, საკვების ძებნის უნარიანობა, პროდუქტიულობა და სხვა, ისევე ხასიათდება, როგორც აქამდე მთის რუხი ქართული ფუტკრის სახით ცნობილი აფხაზეთის ასსრ-ის და სამეგრელოს მთიან რაიონებში გავრცელებული ფუტკრები. ყველა ეს მონაცემები მათ ერთ პრიმიტულ მთის რუხი ქართული ფუტკრის ჯიშად აერთიანებს. რაც შეეხება მათი ზოგი-





ერთი ნიშან-თვისების სხვაობას (ხორთუმის სიგრძე. ფრთების ზომები, საშუალო დღელამური კვერცხმდებლობა და სხვ.), ისინი გამოწვეულია მათი გავრცელების ეკოლოგიური პირობებით. ცდის ძირითადი მიზანი იყო გამოჩვენებულიყო მათი პროდუქტიულობა აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში ძირითადი და განმეორებითი ლალიანობის დროს.

აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში აფხაზეთის ასსრ-ის, სამეგრელოს, ზემო სვანეთისა და იმერეთ-რაქის მთიან რაიონებში გავრცელებულმა ფუტკრებმა, მიუხედავად მათი ხორთუმის სიგრძის მეტნაკლებობისა, ძირითადი და განმეორებითი ლალიანობის დროს მცირეოდენი განსხვავებით ერთნაირი პროდუქტიულობა გამოიჩინეს. ეს მონაცემები 1956 წლის მასალების მიხედვით მოგვყავს № 2 ცხრილში.

ცხრილი 2

| №№ | მთის რუხი ქართული ფუტკრის პოპულაციების დასახელება | ხორთუმის საშუალო სიგრძე | თაფლის მოთიანი გამოსავალი თითოეულ ოჯახზე | მაქიმილური დღელამური კვერცხმდებლობა |
|----|---|-------------------------|--|-------------------------------------|
| 1  | მეგრული პოპულაციის . . . . .                      | 7,07                    | 34,9                                     | 976                                 |
| 2  | აფხაზური " . . . . .                              | 6,96                    | 31,1                                     | 1020                                |
| 3  | ზემოსვანეთის " . . . . .                          | 6,84                    | 35,2                                     | 1010                                |
| 4  | იმერულ-რაქული პოპულაციის . . . . .                | 6,72                    | 31,2                                     | 975                                 |
| 5  | ქართლური " . . . . .                              | 6,67                    | 37,2                                     | 1342                                |
| 6  | კახური (დაბლობის) " . . . . .                     | 6,55                    | 23,1                                     | 1051                                |

როგორც ცხრილიდან ჩანს, ზემო სვანეთისა და იმერეთ-რაქის მთიან რაიონებში გავრცელებული ფუტკრის გამოყენება ისევე შესაძლებელია აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში, როგორც აქამდე ცნობილი მეგრული და აფხაზური ფუტკრისა.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მთის რუხი ქართლური ფუტკარი (დუშეთის რაიონიდან).

ქართლური ფუტკარი პირველი ლალიანობის დროს შედარებით (30 — 40%-ით) მეტ ბარტყს ზრდის, რითაც უზრუნველყოფს განმეორებით ლალიანობის უკეთ ათვისებას. ამის შედეგად ქართლური ფუტკრის თაფლის პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებლები აღემატება მეგრული, აფხაზური, ზემოსვანური და იმერული ფუტკრების თაფლის პროდუქტიულობის საშუალო მაჩვენებლებს.



ქართული მთის ფუტკრის გამოყენება აღმოსავლეთ საქართველოს პირობებში მიზანშეწონილი იქნება იმ საფუტკრეებში, სადა ზელთაც უხდებოდა ფუტკრის გადაყვანა პირველი ლალიანობის შემდეგ სასოფლო-სამეურნეო ენტომოფილური კულტურების დამტვერვისათვის და აგრეთვე მთიან ზონებში განმეორებითი ლალიანობისათვის.

მთის რუხი ქართული ფუტკრის (აფხაზური, მეგრული, ზემოსვანური, იმერულ-რაჭული და ქართლური) პოპულაციების მეურნეობრივად სასარგებლო ნიშან-თვისებების შესწავლა ამით არ დამთავრებულა. მთის რუხი ქართული ფუტკრის ეს ძირითადი პოპულაციები საუკუნეების მანძილზე ფორმირებულია საქართველოს მთიანი ზონების სხვადასხვა კლიმატური და საკვები ბაზის პირობებში, რის შედეგადაც მათ გამოუმუშავებული აქვთ სხვადასხვა პირობებთან შეგუების უნარი. მთის რუხი ქართული ფუტკრის ეს პოპულაციები თავიანთი ადგილსამყოფელ მსგავს პირობებში გამოყენებით უსათუოდ უკეთეს პროდუქტიულობას გამოიჩენენ.

ამჯერად კი საჭიროა მთის რუხი ქართული ფუტკრის ამ ძირითადი პოპულაციების ადგილსამყოფელი დაცული იყოს მათი ხალასად შენარჩუნების, შემდგომი შესწავლის, გაუმჯობესების, გამრავლების და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის.

რადგან მთის რუხ ქართულ ფუტკარს ზემოაღნიშნული მეურნეობრივად სასარგებლო ნიშან-თვისებები ახასიათებს, ამიტომ სსრკავშირის საფუტკრეებში, მას იყენებენ როგორც გამაუმჯობესებელი ჯიშის ფუტკარს. დღითიდღე იზრდება მოთხოვნილება მთის რუხ ქართულ ფუტკარსა და ფუტკრის დედებზე. მათზე დიდი მოთხოვნილებაა რუმინეთიდან, ბულგარეთიდან. ჩეხოსლოვაკიიდან, საფრანგეთიდან და სხვა ქვეყნებიდან. 1954 წელს დანიაში მოწყობილი მეფუტკრეობის მსოფლიო კონგრესის მონაწილეების უმრავლესობამ მოითხოვა მთის რუხი ქართული ფუტკრის დედების შექმნა უშუალოდ საბჭოთა კავშირის საჯიშეებიდან, რადგან ამჟამად ევროპის ქვეყნებში მთის რუხი ქართული ფუტკრის დედებს უფრო ხშირად ამერიკიდან იღებენ, რაც, მათი აზრით, არ უნდა იყოს ხალასი მასალა.

საქართველოში არსებული სოხუმის, ჩხოროწყუსა და სიღნაღის ქართული ფუტკრის დედების გამოყვანი სახელმწიფო საჯიშეები კი, რომლებსაც ყოველწლიურად 3000 დედაფუტკარი გამოჰყავთ, ვერ აკმაყოფილებენ მოთხოვნილებას.



1957 წლის ოქტომბერში თბილისში ჩატარდა საკავშირო სოფლო-სამეურნეო აკადემიის მეაბრეშუმეობისა და მეფუტკრეობის სექციის გაფართოებული პლენუმი მიძღვნილი „მეფუტკრეობაში საჯიშე საქმის გაუმჯობესებისადმი“. ამ პლენუმის საქართველოში მოწვევა შემთხვევითი მოვლენა არ იყო. პლენუმზე მოსმენილი მოხსენებების უმრავლესობა ეხებოდა სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში მთის რუხი ქართული ფუტკრის გამოცდის შედეგებს. მომხსენებლები აღნიშნავდნენ მთის რუხი ქართული ფუტკრის უპირატესობას ადგილობრივ ფუტკრებთან შედარებით.

პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება და თხოვნით მიმართა საქართველოს მთავრობას და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რათა საქართველოში გაფართოვდეს მთის რუხი ქართული ფუტკრის დედების გამოყვანი საჯიშეების ქსელი და აგრეთვე ორგანიზებულ იქნას საქართველოდან ფუტკრის ნაყრების (პაკეტების)<sup>1</sup> სახით რეალიზაცია სსრ კავშირის სხვადასხვა მხარეებსა და რესპუბლიკებში. ეს გარემოება უფრო მეტ მოთხოვნას უყენებს მთის რუხ ქართულ ფუტკარსა და საქართველოს მეფუტკრეობას.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკარი თავისი წარმოშობით იგივე მთის რუხი ფუტკარია, მაგრამ დროთა განმავლობაში მასზე გავლენა მოუხდენია მეზობელ მხარეებში (რესპუბლიკებში) გავრცელებულ მოყვითალო შეფერილობის ფუტკარს, რის შედეგადაც ჩვენი დაბლობის ფუტკარს მეტ-ნაკლებად ახასიათებთ მუცლის სეგმენტების სიყვითლე, შედარებით მოკლე ხორთუმი და სხვ. კავკასიური ფუტკრების მკვლევარ კ. გორბაჩოვის გამოკვლევით კავკასიის დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკარი სპარსული ყვითელი და მთის რუხი ფუტკრის მეტისებია. ჩვენი აზრით, ეს შეხედულება არ არის სწორი, რადგან სპარსულ ყვითელ ფუტკარს არ შეეძლო უშუალოდ ისეთი ძლიერი გავლენა მოეხდინა საქართველოს დაბლობის ფუტკარზე, როგორც მოუხდენია სპარსეთის მეზობლად მდებარე სომხეთისა და აზერბაიჯანის დაბლობის ფუტკარზე. ამავე დროს სპარსულ ფუტკარს და აგრეთვე საქართველოს მეზობელ მხარეებში (რესპუბლიკებში) გავრცელებულ ფუტკრებს, გარდა სიყვითლისა, ახასია-

<sup>1</sup> პაკეტი — ხელოვნური ნაყარი: 1 — 1,5 კგ ფუტკარი განაყოფიერებული დედით, 2 კგ თაფლი და 4 — 6 ბუდის ჩარჩო.

თებს ჰარბი ბარტყიანობა, ნაყრიანობისადმი დიდი მიდრეკილება, ნაყრიანობის დროს ბევრი სადედეების კეთება და სხვა, რაც საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებულ ფუტკარს არ ახასიათებს. ამ თვისებების მხრივ ის უფრო მთის რუხი ფუტკრის თვისებებს უახლოვდება.

რაც შეეხება საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკრის პროდუქტიულობას, იგი მთის რუხ ფუტკართან შედარებით ნაკლებად შესწავლილია. საქართველოს მეცხოველეობისა და ვეტერინარიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მეფუტკრეობის განყოფილების მასალების მიხედვით კახეთის დაბლობის ფუტკრის პროდუქტიულობა საშუალოდ 10 — 15%-ით უფრო დაბალ მაჩვენებელს იძლევა, ვიდრე მთის რუხი ფუტკრის საშუალო პროდუქტიულობა.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში კარგად არის განვითარებული ფუტკრის მთაბარობა. მთიან ზონებში ყოველ ახლად გაყვანილ გზას თან სდევს დაბლობი რაიონებიდან ფუტკრის გადაყვანა მთიან ზონებში განმეორებით ლალიანობაზე. მთის რუხი ქართული ფუტკრის პოპულაციების ძირითადი ადგილსამყოფელები არ არის დაცული დაბლობ რაიონების მომთაბარე საფუტკრეებისაგან. საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკრის სიახლოვე მთის რუხი ფუტკრის ძირითად ადგილსამყოფელთან თანდათანობით აუარესებს მის თვისებებს და საფრთხეს უქმნის ამ ფუტკრის პოპულაციების ხალასად შენარჩუნებას: მთის რუხი ქართული ფუტკრის ძირითადი პოპულაციების (აფხაზური, მეგრული, ზემოსვანური, იმერულ-რაჭული, ქართლური) ადგილსამყოფელებში ნაკრძალი და საფუტკრე-ალკვეთილების ჩამოყალიბებით შესაძლებელი იქნება მათი ხალასად შენარჩუნება, შესწავლა, გაუმჯობესება და გამრავლება, რათა ფუტკრის ეს პოპულაციები მიზანშეწონილად იყვნენ გამოყენებული როგორც საქართველოში, ასევე მოკავშირე რესპუბლიკებში მეფუტკრეობის პროდუქტიულობის გაზრდისათვის.

საქართველოს მთიან რაიონებში გავრცელებული ფუტკრის შემდგომი შესწავლით და გამოცდით შესაძლებელია გამოვლინდეს მთის ფუტკრის ისეთი ზოპულაციებიც, რომლებიც ადვილად შეეგუებიან ჩრდილოეთ მხარეების ხანგრძლივი ზამთრობის პირობებს, და ისეთებიც, რომლებიც მაღალ პროდუქტიულობას გამოიჩენენ სამხრეთის კარბნალექებიანი ქვეყნების პირობებში.





მთის რუხი ქართული ფუტკრის დედების გამოყვანი საჯიშველების ქსელის გაფართოებით, ხელი შეეწყობა საქართველოს დაბლობ რაიონებში გავრცელებული ფუტკრის თვისებებსა და პროდუქტიულობის თანდათანობით გაუმჯობესებას, ამავე დროს დაკმაყოფილებული იქნება მოკავშირე რესპუბლიკების მოთხოვნილება.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხელისუფლება დიდად უწყობენ ხელს სოფლის მეურნეობის შემდგომ ზრდა-განვითარებას. საქართველოს კვ ცენტრალური კომიტეტის და მინისტრთა საბჭოს დადგენილებით სხვა ღონისძიებებთან ერთად დასახულია გზები მეფუტკრეობიდან უხვი მოსავლიანობის უზრუნველსაყოფად. ამ დადგენილების რეალიზაციისათვის საჭიროა მეფუტკრეობის სპეციალისტებმა ძირფესვიანად გარდაქმნან თავიანთი-მუშაობა.

მიჩურინული ბიოლოგია გვასწავლის, რომ ცხოველთა ნაჯვარი თაობები უფრო გამძლე, მაღალპროდუქტიული და ცხოველმყოფელნი არიან. გამომდინარე აქედან მთის რუხი ქართული ფუტკრის მეურნეობრივად სასარგებლო ის ნიშან-თვისებები, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, საჭიროა გამოყენებულ იქნეს ჩვენი პრაქტიკოსი მეფუტკრეების მიერ, კერძოდ, საჭიროა დაბლობი რაიონების საფუტკრეებში მთის რუხი ქართული ფუტკრის დედების შემოყვანა და მათი საშუალებით დაბლობის ფუტკრის პროდუქტიულობისა და სხვა თვისებების გაუმჯობესება. გარდა ამისა, საჭიროა ჩვენი მეფუტკრეობა ავიყვანოთ წარმოების უფრო მაღალ დონეზე, ჩვენს პრაქტიკაში ფართოდ დავნერგოთ მოწინავე მეფუტკრეთა გამოცდილება და მეცნიერების მიღწევები, რაც თავის მხრივ დიდად შეუწყობს ხელს საფუტკრეების პროდუქტიულობის ზრდას.



ავტორი—მიხეილ ალექსანდრეს-ძე ლეკიშვილი  
იბეჭდება მეცხოველეობის სექციის ბიუროს დადგენილებით.  
სექციის ბიუროს თავმჯდომარე—დოც. ა. კაჭახიძე  
რედაქტორი—მ. მათეშვილი

---

გადაეცა წარმოებას 1/VIII-58; ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/IX-58; ქალაქის  
ზომა 60×84, ანაწყოების ზომა 6×9,5; სასტამბო ფორმათა რაოდენობა 1,75.  
ტირაჟი 8,500. შვკ. № 897. უგ 04520 ფასი 1 მან.

---

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“,  
თბილისი, ლენინის ქ. № 14.

Полиграфкомбинат „Комунისტი“, Издательства ЦК КП Грузии,  
ул. Ленина № 14.

ფანონი 1 326.



221  
5  
221  
326

მ. ა. ლეკიშვილი

**СЕРАЯ ГОРНАЯ ГРУЗИНСКАЯ ПЧЕЛА**

(На грузинском языке)

Издание Общества по распространению  
политических и научных знаний

Грузинской ССР

Тбилиси

1958